



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დიღმის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

დიღმის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის ნამოსახლარები და სამაროვნები, ეკლესიის, საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები, აღმოჩენილი დიღმის ხეობის სხვადასხვა ადგილას.

ხეობა დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან. ხეობის ქვედა ნეღზე, თრელიგორებად წოდებული ბორცვების მახლობლად, ზედაპირულად აკრეფილია მუსტიეს ხანის კაჟის იარაღი. არქეოლ. გათხრებით (1969-იდან, ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) დიღმისწყლის მარცხ. ნაპირას, საქართვე. სამხ. გზასთან, გამოვლინდა ენეოლითადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ძვ. წ. IV–III ათასწლ. მიჯნა). ოთხკუთხა შენობები ნაგებია რიყის ქვით. თიხატკეპნილ იატაკზე შუაში თიხის ან რიყის ქვის ოვალური კერებია. იატაკში ჩატრილია მსხლისებური მოყვანილობის ორმოები, რ-ებიც ბათქაშითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო ამოვსებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმებთან ერთად გვხვდება ბზენარევი კერამიკაც. თრელიგორებზე გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი, რ-ის ძირითადი ფენები გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანისაა (ძვ. წ. XV–VI სს.). დასახლება არსებობდა გვიანდ. ანტიკურსა და ადრინდ. ფეოდ. ხანაშიც. იგი ტერასებადაა განლაგებული. ნახევრად მიწური სახლების კედლები რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები და თიხით შელესილი. გადახურვა ბანური იყო. იატაკი თიხატკეპნილია, ზოგჯერ ფილაქვით მოფენილი. ყველა საცხოვრ. კომპლექსში აღმოჩნდა ლუმლები, თიხით შელესილი ბაქნები, სხვადასხვა ფორმის საკურთხევლები. თრელიგორების აღმ-ით, დიღმის ველზე, აღმოჩნდა ადრინდ. ფეოდ. ნამოსახლარი და სხვადასხვა დროის სამაროვნები.

განსაკუთრებით მდიდრული იყო ძვ. წ. VIII-VII სს. გორასამარხები, სადაც ოქროს, ბრინჯაოს, რკინის ნივთები და დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელია ნაპოვნი. აღსანიშნავია თიხის და ვერცხლის სამკაული აღმოჩნდა, I-III სს. სამარხებში, ადგილ. წარმოშობის ნივთებთან ერთად, რომაული გემები და მონეტებიც იყო. ამავე ხანის სამარხები გაითხარა სოფ. დილომში, ხოლო დიღმის ველზე, ვაშლიჯვარში, თელოვანში, დიდგორაზე, ჯოიანში, ბაჭყალაზე, ლელობში და აგრეთვე დილომში – ადრინდ. ფეოდ. ხანის (IV-VIII სს.) სამაროვნები. ქვაყუთებში და ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ქრისტ. წესით. ჩატანებული ჰქონდათ სამკაული და ტანსაცმლის მოსართავი ლითონის ნივთები.

დიღმის ხეობის სათავეში, სოფ. ლელობთან, აღმოჩნდა XIII-XIV სს. ნამოსახლარი, რ-საც „ნაქალაქარს“ უწოდებდნენ. მინის ზედაპირზე შემორჩენილია ეკლესიის, საკულტო და სამეურნ. ნაგებობათა ნანგრევები. შენობები მშრალი წყობითაა ნაგები. გვხვდება ორ და სამოთახიანი კომპლექსები. საცხოვრ. ნაგებობებს ეკვრის სამეურნ. დანიშნულების სათავსები (მარანი, ფარეხი და სხვ.). შენობათა ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, მინის ჭურჭლის და სამაჯურის ნატეხები და სხვ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება დიღმის ხეობაში შემორჩენილი სარწყავი სისტემის ნაშთები – კაშხლები, აკვედუკები და კლდეში ნაკვეთი არხები.

დიღმის ხეობაში ხელსაყრელი პირობები იყო მეცხოველეობის განვითარებისათვის. ხეობას ჰქონდა საკუთარი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და მასზე გადიოდა თრიალეთისკენ მიმავალი ე. წ. ცხვრის გზა. ანტ. ხანაში დილომი და დიღმის ხეობა თავდაპირველად მცხეთის, ხოლო V ს-იდან თბილისის სას.-სამ. შემოგარენი იყო.

ლიტ: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ვ., რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., არქეოლოგიური გათხრები დიღმის ხეობაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, №2.

**თ. ნიკოლაიშვილი**

---